# თავისუფალი საქართველო

№35

8 - 14 ოქტომბერი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთი - აქილევსის ქუსლი და მთავარი კოზირი

ჩამთავრდა კიდევ ერთი ისტერიული კამპანია აფხაზეთის გარშემო. როგორც მოველოდით, საზეიმო ცერემონიალის ყველა ატრიბუტი .სახეზე იყო: ფსევდოპატრიოტული ლოზუნგები, დეკლარირებული ულტრარადიკალიზმი, უზენაესი ძალების მოხმობა და მტრების შეჩვენება, მუქარა, რომ ყველას გაუსწორდებიან და, საფიქრალია, გაუსწორდებიან კიდეც. მათ სხვაგვარად არ შეუძლიათ - უნდა გათელონ ყველა და ყველაფერი, რაც წინ აღუდგება ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მიზანს; უნდა გაუსწორდნენ მახვილით თუ არა, ცინიკური ქირქილით მაინც.

რა არის, თუ არა ცინიზმი, შევარდნაძისტული პარლამენტის ისტერიული ანტირუსული კონვულსიები, რომლებიც 2 ოქტომბერს - გაგრის დაცემის საბედისწერო იუბილეს, ყოვლად უმწიფარი, სატრაპული დადგენილების მიღებით დასრულდა? რა არის, თუ არა დაცინვა, თავად ამ ამაზრზენი ფარსის მოწყობა სწორედ "ღირსშესანიშნავი" თარიღის ოთხი წლისთავზე?

ან რას გვიმტკიცებს შარტავას სატელეფონო საუბარი აკაკი ელიავასთან - იმას, რომ აფხაზეთის ომში საშველად უხმობდნენ კანონიერ ეროვნულ გვარდიას და ამავე დროს პატიმრობაში ჰყავდათ და სასტიკად აწამებდნენ ამავე გვარდიის ოფიცრებს? ან კი რისი იმედით უნდა წამოვიდეს მებრძოლი შენს გვერდით საომრად, როცა იჭერ და ასამართლებ მის მეთაურს, მის თანამებრძოლს, როცა ტერორის ქვეშ გყავს მისი კუთხე, მთელი ქვეყანა?

ან რას ემსახურება აფხაზების მიერ ჟიული შარტავას დატყვევების კადრების ჩვენება ონიან-შევარდნაძისეული კომენტარებით? ამ კადრებმა მხოლოდ უფრო მწვავედ აღძრეს ძველი კითხვები: როგორ მოხდა, რომ შარტავა სოხუმში დარჩა? ვერ მოასწრო გამოსვლა, თუ არ ინდომა? თუ ვერ მოასწრო, რატომ არ იზრუნა მთავარსარდალმა აფხაზეთის მთავრობის უმაღლეს პირზე? ან იქნებ სწორედაც იზრუნა? დაბოლოს, ვინ და როდის მოკლა იგი, ვინ აიღო ასეთი დიდი პასუხისმგებლობა - აფხაზმა თუ რუსმა - და ვისი მითითებით?

აფხაზეთის საკითხი კვლავ რჩება შევარდნაძის აქილევსის ქუსლად და.. მის მთავარ კოზირად.ყოველი დარტყმა ამ მიმართულებით ბუმერანგად უბრუნდება მასვე. და ეს ხდება თითქმის ძალდაუტანებლად, ვინაიდან ეს ბუნებრივია, ეს იმგვარი ძალის ჭეშმარიტებაა, რომელიც თვითონვე იკვლევს გზას.

დახეთ, რა ხდება: ჭინკები გულში იბაგუნებენ ხელს და იფიცებენ სამშობლოს სიყვარულს, მათ მიერ სასაკლაოზე გაგზავნილ ახალგაზრდობას ახლაღა უხდიან ხარკს, მათი უზნეობით გარყვნილ თაობას ტრადიციულ ფასეულობათა დამცველებად ევლინებიან - აკი მამათმავლობასაც შეუტიეს, აკი ღვთისმოსავნიც გახდნენ, აკი განდევნილი პრეზიდენტის ქომაგადაც მოგვევლინენ, აკი რუსსაც კი აღარ ჰგუობენ... ვითომ, ვითომ...

შევარდნაძემ აფხაზეთით დასაჯა საქართველო. ახლა იმავე აფხაზეთით სჯის ყველას, ვინც, შესაძლოა, ამხილოს იგი ამ დანაშაულში და... აფხაზეთით დაისჯება თვითონაც. ესაა გარდუვალობა, რომლის მოახლოებასაც გრძნობს და ბორგავს ისტერიული კონვულსიებით შეპყრობილი მაცდური.

*ანა ჭავჭავაძე*

## ღია წერილები მინისტრს

### ბატონ ერვე დე შარეტს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

ბატონო მინისტრო!

ქართველები ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდნენ იმ ინტერესს, რომელსაც საფრანგეთი ავლენდა მათი ქვეყნის მიმართ. ქართველთა ამჟამინდელმა მორალურმა და მატერიალურმა სიძნელეებმა კიდევ უფრო გაამძაფრა მათი დამოკიდებულება საქართველოსთან დაკავშირებული ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენის მიმართ.

ჩვენ აღარ შევეხებით ამ ქვეყანაში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას და ბოლო წლების იმ მოვლენებს, რომელთაც ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს საქართველოს დღევანდელი მმართველნი.

ჩვენი სურვილია, თქვენი ყურადღება მივაპყროთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს და პოლიტპატიმართა უმძიმეს მდგომარეობას. წერილს თან ვურთავთ ქართველ პოლიტპატიმართა სიას.

ულრმესი პატივისცემით,

**ოთარ ზურაბიშვილი** - საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენელი საფრანგეთში

**მედეა თუშმალიშვილი** -საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე

ბატონო მინისტრო!

შევიტყვეთ რა, რომ საქართველოში მიბრძანდებით ოფიციალური ვიზიტით, გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყანაში სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები.

დამატებითი ინფორმაციის სახით, წერილს თან ვურთავთ საქართველოში ამჟამად არსებულ პოლიტპატიმართა სიას, აგრეთვე "საერთაშორისო ამნისტიის" დასკვნებს ბადრი ზარანდიას სასიკვდილო განაჩენისა და ელგუჯა მესხიას უკანონო ექსტრადიციის თაობაზე.

იმედია, რომ საფრანგეთი - ქვეყანა, სადაც იცავენ და პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს, არ დაიშურებს ძალისხმევას, გავლენა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა აღიკვეთოს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ხელყოფა.

ულრმესი პატივისცემით,

**თინა კერესელიძე**

კავკასიაში ადამიანის უფლებათა შემსწავლელი ცენტრის საფრანგეთის განყოფილების ხელმძღვანელი

**პარიზი, 1996 წლის 2 ოქტომბერი**

## ალადაშვილი - მოსამართლე თუ მოძალადე?

შუზენაეს სასამართლოში მიმდინარე "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" განხილვაზე მოწმედ დაბარებული ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის მაცხოვრებელი გელა ქაცარავა დაკითხულ იქნა ხობში სამთავრობო ჯარების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის დაღუპვის ეპიზოდთან დაკავშირებით, ხოლო მანამდე, მისმა დედამ, ლუიზა ზარანდია-ქაცარავამ, განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომ მისი შვილისგან მუქარით მოითხოვდნენ დაემოწმებინა, თითქოს მან თავისი თვალით ნახა, როგორ დახვრიტა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ ჟურნალისტი დავით ბოლქვაძე. ამის გამო, იგი იმალებოდა კიდეც, ვინაიდან არ სურდა ყალბი ჩვენების მიცემა.

"- 21 აგვისტოს, დილით, ჩემს სახლში მოვიდნენ პოლიციელები და ხობში წამიყვანეს, სადაც დაკითხვის დროს მცემეს. ჟვანია (შს ხობის რაიგანყოფილების თანამშრომელი - რედ.) მემუქრებოდა, თქვი, რომ შენი თვალით ნახე, რომ ქობალიამ მოკლაო. (...) მეორე დღეს, რომ გათენდა, წავედით თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მერე - ალადაშვილის სახლში. მემუქრებოდნენ, თქვი, რომ შენი თვალით ნახეო. შევედით სამინისტროში, იქ რა გამიკეთეს და რა ვთქვი, არ ვიცი, გონი დავკარგე, მერე წამიყვანეს სასამართლო პროცესზე. მოსამართლემ შესვენებისას მითხრა: გინდა თუ არა, თქვიო, თორემ გარეთ ცოცხალი ვერ გამოხვალო; ნახევარი საათის წინ თქვი და ახლაც გაიმეორეო. ეს ფაქტი შენი პირიდან ამოვიდაო. რა ვთქვი, არ მახსოვდა. აზრზე არ ვარ, როგორ ვთქვი. რაც დამიწერეს, ის განვაცხადე... დამაძალეს ჩვენების მიცემა. ჩემზე ახდენდნენ ზემოქმედებას და, თუ საჭიროა, ვიშიმშილებ ამერიკის საელჩოს წინ, რომ გააუქმონ ჩემი ჩვენება". (გაზეთი "ახალი თაობა" №153, 1996 წელი).

როგორც ვხედავთ, დღითი დღე დასტურდება ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში არ არსებობს სასამართლო ხელისუფლება როგორც ასეთი, და იგი ისეთივე წარმონაქმნია შავი რევოლუციისა, როგორიც "მხედრიონი".

გელა ქაცარავას განცხადება, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენდნენ არა მხოლოდ პოლიციის რაიგანყოფილებასა და შს სამინისტროში (რაც ჩვეულებრივი ამბავია დღევანდელ საქართველოში), არამედ თვით უზენაესი სასამართლოს წევრის, მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილის სახლში(!!!), რომ მოსამართლე უშუალოდ იყო დაკავებული ამ საქმიანობით და სასამართლო სხდომებს შორის შესვენებაზეც კი მხედრიონული შემართებით განაგრძობდა მოწმის დამუშავებას, თავისთავად სენსაციაა და თუ ამგვარი სერიოზული ბრალდება დადასტურდა, ეს არ შეიძლება გახდეს მხოლოდ ერთი, კონკრეტული პიროვნების დასჯის საფუძველი, რამეთუ თავად ფაქტი მთელი სიცხადით ააშკარავებს საქართველოში არსებული მთელი სამართალდამცავი სისტემის დანაშაულებრივ ბუნებას.

## დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის

### ინტერვიუ ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის. წევრთან, მარკ ალმონდთან

**გაგრძელება (დასაწყისი იხილე: "თავისუფალი საქართველო" №34)**

კორესპონდენტი: - როგორ ფიქრობთ, რეალურად რა ფიგურაა ლებედი და რაში დასჭირდათ მისი ამოტივტივება?

მარკ ალმონდი: - მე ვფიქრობ, რომ იგი ელცინის აპარატის გარკვეული ჯგუფის ქმნილებაა. ეს მომგებიანი ფიგურაა მანიპულირებისთვის - ნახევრად ოფიციალური პირი. თუ დასჭირდათ, ისევე იოლად გააუქმებენ მის პოსტს, როგორ იოლადაც შექმნეს. ლებედის ქმედებებიდან ჩანს, რომ იგი დიდად არ შეცვლილა. თუმცა, ცდილობენ, ამაში დაგვაჯერონ. საქართველოში, ალბათ, მაინც ნაკლებად დაიჯერებენ, რომ კაცი, რომელიც აქტიური იყო თბილისში, 1989 წლის აპრილში, მსახურობდა ავღანეთში - უეცრად მშვიდობის ანგელოზი გახდა. უფრო პარადოქსული ის არის, რომ დასავლეთს რაღაცაგვარად აწყობს ასეთი ფიგურის არსებობა. დასავლეთი ყოველთვის ეძებდა ვიღაცას, ვინც ბოლოს მოუღებდა სტერეოტიპს ყოფილი საბჭოთა კავშირის შესახებ. მართალია, ისინი ისურვებდნენ, რომ უფრო კეთილშობილი, ვთქვათ, გენერალი დე-გოლის ან ეიზენჰაუერის მსგავსი გმირი ყოფილიყო მის ადგილას, მაგრამ ასეთის არარსებობის გამო, არც ლებედზე ამბობენ უარს. სხვა საქმეა, რომ ლებედის ასაკში დე გოლიცა და ეიზენჰაუერიც უმცროსი ოფიცრები იყვნენ. ლებედი ამბიციური პიროვნებაა, მაგრამ მე ვფიქრობ, მისი ამბიცია რაღაც ეტაპზე არასახიფათო უნდა იყოს, რადგან მას არ ჰყავს ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც მხარს დაუჭერენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მეტისმეტად სკანდალური ფიგურაა. ზოგი მისი საქციელი გაუგებარია. მაგალითად, აბსურდული სიგარეტი - კაციჭამია გენერალი ეწევა მარლენ დიტრიჰის სიგარეტს. მე არ მგონია, რომ იგი შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ მას ძალიან სერიოზულად იღებენ დასავლეთში. ქართველი მკითხველისთვის ეს მოვლენა კარგად უნდა იყოს ცნობილი. რაც უფრო აბსურდული და გროტესკული ჩანს პიროვნება, მით უფრო სერიოზულად ეკიდება მას დასავლეთი. სინამდვილეში, ეს ვიღაც შეიძლება ცირკის ჯამბაზი იყოს. სწორედ ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ლებედის დიდი სამშვიდობო შეთანხმება დროებითი, მყიფე დათმობა აღმოჩნდება და სერიოზულ პოლიტიკურ ცვლილებებს არ მოიტანს.

**კორ. - თქვენს ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას დინამიკაში გასცნობოდა. როგორ ფიქრობთ, როგორი სიტუაციაა ამჟამად ამ სფეროში ჩვენს ქვეყანაში?**

მ.ა. - ძალიან ადვილია იფიქრო, რომ დღეს თბილისის ქუჩებში უფრო მშვიდობიანი და უსაფრთხო ვითარებაა, ვიდრე ეს იყო 1992 წელს. აღარ ისვრიან და მხედრიონი აღარ თარეშობს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში დღეს უკეთაა დაცული, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დასავლელი სწორედ ასე ფიქრობს. ისინი, როგორც ჩანს, თავის თავს არ უსვამენ კითხვებს: რა ხდება ციხეებში? რა ხდება წინასწარი პატიმრობის საკნებში?

(გაგრძელება მე-2-ე გვერდზე)

## სისხლიანი კვალი შევარდნაძემდე მიდის

**1996** წლის **7** ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომაზე, ლოთი ქობალიას, ზვიად ძიძიგურისა და ჯამბულ ბოკუჩავასთვის პროკურორმა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მოითხოვა, ხოლო ნუგზარ მოლოდინაშვილისთვის **13** წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო ძიების დროს ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე არგუმენტირებული სამხილი განსასჯელთა მიმართ, ბრალდებამ არად ჩააგდო მოწმეთა ჩვენებები, სასამართლო ძიების შედეგები და, ფაქტობრივად, სიტყვასიტყვით გაიმეორა საბრალდებო დასკვნა. ბოლო ხანს დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, პროკურატურა საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალების უშუალო მითითების უაპელაციო აღმსრულებლად დარჩა. სახეზეა პოლიტიკურ ოპონენტთა გეგმაზომიერი ფიზიკური ლიკვიდაციის პრაქტიკა.

რეჟიმს, რომელიც სისხლით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, არ შეუძლია იარსებოს სისხლის გარეშე; ეს არის დაუსრულებელი პროცესი და თუ უკლებლივ ყველა არ აღუდგა წინ ამ სიკვდილის მთესველ მანქანას, ადრე თუ გვიან, თავად გახდება მისი მორიგი მსხვერპლი. ამის მაგალითები ჭარბად არსებობს სისხლიანი რევოლუციების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი ახალი პოლიტიკური პრობლემების მიჯნაზე

### ქართველ პოლიტიკოსთა საშინაო თვალთმაქცობის გათვალისწინებით

რუსეთის თავს დამტყდარ საჭირბოროტო პრობლემათა რიგს გასულ კვირაში კიდევ ერთი - ავღანეთიდან მომდინარე საფრთხე დაემატა. თალიბანების მიერ ზედიზედ განხორციელებულმა წარმატებულმა სამხედრო ოპერაციებმა, რასაც შედეგად ქაბულის აღება და ჩრდილოეთ პროვინციებისკენ მიმართული საბრძოლო მოქმედებები მოჰყვა, სერიოზულად შეაშფოთა რუსეთის ხელისუფალნი. თალიბანთა მთავარი მიზნის - ერთიანი ისლამური ადმინისტრაციის შექმნის - განხორციელება სულაც არაა რუსეთისათვის "უბრალო ცვლილებები" მეზობელი სახელმწიფოს შიგნით. დღეს "თალიბანი" ქვეყნის ორ მესამედს განაგებს და სრულიად რეალურია მათ მიერ სალანგის ულელტეხილის გადალახვა და ჩრდილოეთ რეგიონის დაკავება, რომელიც დსთ-ს სამხრეთ რესპუბლიკებს ესაზღვრება.

რუსეთის პრეზიდენტმა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საგანგებო სხდომის მოწვევა დაავალა დსთ-ს სამხრეთით მდებარე რესპუბლიკების ლიდერებს... დასავლეთელ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ავღანეთში დატრიალებული მოვლენები არანაირ საფრთხეს არ უქმნის რუსეთს. თავად რუსები კი თვლიან, რომ მათ შეშფოთებას თალიბების მოქმედების გამო, სავსებით რეალური საფუძველი აქვს. ისინი მოუწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებას, არ ცნონ თალიბთა ხელისუფლება.

ერთგვარი "უკმაყოფილებით" შეხვდა ამ მოვლენებს ვ. ჟირინოვსკი: "ჩვენ ხელს გვაძლევს თალიბანის გამარჯვება ავღანეთში. ეს რესპუბლიკები შეშინებულნი არიან და სხვა გზა არ დარჩენიათ, თუ არა ის, რომ დახმარებისთვის მიმართონ რუსეთს. ყოველგვარი ფულადი სახსრებისა და სხვა დათმობების გარეშე ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ მოვიპოვოთ გადამწყვეტი როლი ამ რესპუბლიკებში"...

გაცილებით უფრო სერიოზულად მიიჩნევს შექმნილ მდგომარეობას რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, ალ. ლებედი: "თალიბების ჩრდილოეთით წაწევამ შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ მათ შეუერთდებიან ტაჯიკეთის ოპოზიციის რაზმები, დაიკავებენ უზბეკეთის ნაწილს მუსულმანთა წმინდა ადგილის - ბუხარას ჩათვლით. ამ შესაძლო კონფლიქტთან შედარებით, ჩეჩნეთი "პატარა მუწუკად" მოგვეჩვენება" - განაცხადა მან. ლებედის აზრით, საჭიროა, დსთ-ს სამხრეთის საზღვართან მდებარე რესპუბლიკებმა დახმარება აღმოუჩინონ რაბანის მთავრობას, მის თავდაცვის მინისტრს თალიბანთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის შეშფოთება ავღანეთის მოვლენებით სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მართლაც მოსალოდნელია, თალიბანებს, - ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონის აღების შემთხვევაში, - ტაჯიკეთის ოპოზიციაც შეუერთდეს და ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ აქაური პრორუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც მთელი რიგი გართულებები მოჰყვება სხვა რესპუბლიკებშიც. ეს კი, საბოლოო ჯამში, საფრთხეს შეუქმნის რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს და გავლენის სფეროების შენარჩუნებას შუა აზიის რეგიონში.

ავღანეთის მოვლენებმა, გამწვავების შემთხვევაში, შესაძლოა, დაჩრდილოს კიდეც ჩეჩნეთის პრობლემა. ჯერჯერობით კი იგი კვლავ რჩება რუს პოლიტიკოსთა განსჯის უპირველეს საგნად. მათი გარკვეული ნაწილი (რომელთა ლიდერად, პირობითად, შეიძლება, რუსეთის შს მინისტრი ა. კულიკოვი მივიჩნიოთ) კვლავინდებურად უკმაყოფილოა ლებედის კურსით და ხასავ-იურტის შეთანხმებით. კულიკოვის თქმით, ეს იყო რუსეთის სახელმწიფოს დაშლის მაღალპროფესიული მხარდაჭერა. ფედერალური საბჭოს სხდომაზე არანაკლებ მწვავე გამოთქმები გაისმა ლებედის მისამართით სხვა დეპუტატების მხრიდანაც. შედარებით "რბილი", მაგრამ ტრადიციულად შოვინისტური იყო სტ. გოვორუხინის გამოსვლა: "ომი არ უნდა განახლდეს, მაგრამ, არც ერთი კაპიკი ბიუჯეტიდან არ უნდა გამოეყოს ჩეჩნეთს... თანხები მხოლოდ რუსი ეროვნების მოქალაქეთა უზრუნველყოფას, ლტოლვილთა კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს... ისინი ხუთი წელია გვეხვეწებიან - წაგვიყვანეთ ჩეჩნეთიდან. დროა, რუსეთის საზღვარი გავატაროთ ჩეჩნეთთან". აღსანიშნავია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ეს სხდომა ჩეჩნეთის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის წინ ჩატარდა, მაგრამ ამგვარი არასახარბიელო ფონის მიუხედავად, იანდარბიევის შეხვედრა რუსეთის პრემიერ-მინისტრთან საკმაოდ შედეგიანი გამოდგა: როგორც ჩეჩნეთის ინფორმაციის მინისტრი მოვლადი უდუგოვი აცხადებს, დუმაში მომხდარმა სკანდალმა არანაირი ზეგავლენა არ მოახდინა იანდარბიევისა და მისი გარემოცვის გეგმებზე...

როგორც ვხედავთ, რუსეთის ირგვლივ შექმნილია საკმაოდ არასასიამოვნო და სახიფათო სარტყელი, რომელიც ემუქრება მის სტრატეგიულ ინტერესებს და გავლენის სფეროების შენარჩუნებას - ერთი მხრივ - შუა აზიაში, მეორე მხრივ - კავკასიაში. ამას თან ერთვის დასავლეთის მტკიცე პოზიცია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რუსეთი სასტიკად ეწინააღმდეგება დასავლეთს ამ საკითხში და ნატოს ქვეყნების ბოლო შეხვედრაზეც არ მოხერხდა მისი წინააღმდეგობის გატეხვა...

ასეთ სიტუაციაში, ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელსაც რუსეთისგან თავის დაღწევა სურს, ხელსაყრელი ვითარება იქმნება მიზნის მისაღწევად. საქართველოს ხელისუფლება კი, არათუ ამჟღავნებს ამგვარ სურვილს, არამედ პირიქით, უფრო საიმედოდ ეკვრება რუსეთს და უცვლელად ინარჩუნებს მისი მთავარი დასაყრდენის, მოკავშირის იმიჯს. აღსანიშნავია, რომ რუსეთისათვის ამ მძიმე პერიოდში ქართველ ხელისუფალთა ერთბაშად გამოჩენილი "მხურვალე რადიკალური" პოზიცია, რამდენიმე დღიანი სულთახდომის შემდეგ, უკვე "განელების" გზაზეა და, შესაბამისად, რუსეთისგან არც ულტიმატუმებს, არც "მეგობრულ მოთხოვნებს" და სანქციებს უნდა ველოდოთ. რუსეთი აშკარად "განაწყენებული" ჩანს ქვეშევრდომის მოულოდნელი "გაურჩებით". უკვე გაისმა მუქარა საქართველოს აფხაზური პოლიტიკის მიმართ რუსეთის დამოკიდებულების გამკაცრების აუცილებლობისა და აფხაზეთისთვის ეკონომიკური "ბოიკოტის" მოხსნის შესაძლებლობის შესახებ... "გარკვეულ შემთხვევაში".

ცოტა ხნის წინ კი საფრთხე დაემუქრა "დიდი პოლიტიკოსის" ნალოლიავებ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებსაც. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების ცნობით, რუსეთი თავს იკავებს საქართველოში თავისი ახალი ელჩის წარმოგზავნისგან, ვიდრე არ გაირკვევა საქართველოს პარლამენტის პოზიცია რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით. ასე რომ, საქართველოს პარლამენტის "მწვანე" სპიკერის "მწვავე" გამოსვლა, თანმხლები მოვლენებით, შესაძლოა, ახალი კაბალური პირობების დასაბამი გახდეს, რომელზეც, ბუნებრივია, ყოველთვის "რეალობის გათვალისწინებით" მოქმედი საქართველოს ხელისუფლება თანხმობას განაცხადებს... ასე რომ, ის ხელსაყრელი სიტუაცია, რომელიც ჩვენთვისაა (და ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისთვის) შექმნილი, გამოუყენებელი დარჩება მანამ, ვიდრე საქართველოს მართავენ რუსეთის ხელის შემყურე მარიონეტები, რომელთაც, თურმე ნუ იტყვით და, სულაც არ უნდათ "ისეთი გამარჯვება, როგორიც ჩეჩნებმა მოიპოვეს"...(გ. ბარამიძე).

"აღმშენებლობის" სურვილით შეპყრობილ ქართველ ხელისუფალთა მოიმედე საქართველო კი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ უშვებს ხელიდან ბრძოლის შანსს და ლამის არის, სამუდამოდ შეისისხლხორცოს უმოქმედო, დაძაბუნებული, ღონემიხდილი, ბრძოლისუნარდაკარგული ქვეყნის დამღუპველი პოზა, რომელსაც, რასაკვირველია, ვერც ქვეყნის პირველი პირის მიერ პერიოდულად და უადგილოდ გახსენებული დიდგორი ცვლის და ვერც მისი ხელის ბიჭების კომკავშირული შეძახილი - "იმ დროს მოვიქნიოთ ხმალი, როცა მოსაქნევია."

**ნუგზარ წიკლაური**

# დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის

იმისთვის, ვინც ბრუნდება საქართველოში რამდენიმე წლის შემდეგ და ხედავს, რომ ქუჩებში სიარული უსაფრთხოა, საშინელი ეკონომიკური კრიზისი, საზარელი სისასტიკე, უზომოდ მაღალი ფასები, გამოძალვა, საყოველთაო მექრთამეობის, კორუფციის ატმოსფერო, როგორც ჩანს, ისეთი თვალშისაცემი არ არის. მაგრამ თუ ისინი შეიწუხებენ თავს და დაფიქრდებიან, რა მძიმე უნდა ყოფილიყო ასეთ ქვეყანაში ცხოვრება ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, ალბათ სხვა, უფრო არაზედაპირულ დასკვნებს გამოიტანენ და უთუოდ დაინახავენ, სინამდვილეში რა ხდება ამ ქვეყანაში - უამრავი ხალხი დაიჭირეს, მიმდინარეობს რამდენიმე სასამართლო პროცესი, ვიღაც აწამეს, ვიღაცას ცუდად მოეპყრნენ. ადამიანებისადმი ამგვარ მოპყრობას ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში მოჰყვებოდა პასუხისმგებელი პირების გასამართლება. აქ კი ისეთ აბსურდულ სიტუაციასაც კი ვხვდებით, როდესაც ადამიანების გარკვეული ჯგუფი დაადანაშაულეს და ციხეშიც ჩასვეს მკვლელობებისთვის, რომელშიც სახელმწიფო ბრალმდებელი ამჟამად სულ სხვა პირებს ადანაშაულებს. იურისპრუდენციაში არსებობს პრინციპი, რომლის თანახმად, არავინ შეიძლება იყოს გასამართლებული ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ. საქართველოში კი გაცილებით მძიმე მოვლენებთან გვაქვს საქმე, როცა სხვადასხვა ადამიანებს ერთი და იგივე დანაშაული ედებათ ბრალად. თუ ისინი შეთანხმებულად არ მოქმედებდნენ, და ეს არ დასტურდება, ორივე ჯგუფი ერთი და იგივე დანაშაულს, რა თქმა უნდა, ვერ ჩაიდენდა. და მიუხედავად ყველაფრისა, როცა პირველი ჯგუფი ჯერ კიდევ ციხეშია და მათი საქმე ძიებაშია, იგივე დანაშაულისთვის ახალ ჯგუფს აპატიმრებენ (იგულისხმება შევარდნაძის წინააღმდეგ 1995 წლის 29 აგვისტოს მოწყობილი ტერორისტული აქტი. როგორც ვიცით, მის ორგანიზებაში ბრალი ედებათ როგორც ზვიადისტებს, ასევე მხედრიონსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მაშინდელ ხელმძღვანელობას. რედ). მაგრამ ეს არავის აღელვებს.

ერთადერთი, რასაც, შესაძლოა, შთაბეჭდილება მოეხდინა დასავლეთზე, არის პოლიციის სრულიად სპეციფიკური ფუნქცია საქართველოში. პოლიცია ამჟამად ერთპიროვნულად აკონტროლებს კომერციას. თუ რამდენიმე წლის წინ ისინი ეჯიბრებოდნენ მხედრიონს ფულის აღებაში კიოსკებისა და პატარა მაღაზიების დაცვისთვის, ახლა პოლიცია ახორციელებს სრულ კონტროლს ყველაფერზე და სრულიად დაუსჯელად. და როცა დასავლელები ამბობენ რომ საქართველოში აღდგა კანონი და წესრიგი და ამას აუცილებლად მოჰყვება ეკონომიკური განვითარება, ეს თავის მოტყუებაა. აქ არ შეიძლება იყოს ნორმალური საბაზრო ეკონომიკა, სანამ პოლიცია და თავად სახელმწიფო, რომელსაც ის წარმოადგენს, არ გათავისუფლდება კორუფციისგან. მეტიც, აქ კორუმპირებულია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, საგადასახადო სისტემის ჩათვლით. თუ სახელმწიფოში არ შემუშავდა წესიერი საგადასახადო სისტემა, კორუფცია თავისუფალ ბიზნესსაც შთანთქავს, რადგან აუცილებლად ჩაითრევს მანკიერ წრეში. თავისუფალი ბიზნესის გარეშე კი, სასაცილოა ლაპარაკი თუნდაც ლარის კურსის სტაბილურობაზე. ეს ხომ აბსურდია, რომ ქვეყანაში, რომელიც არაფერს აწარმოებს, ფულის მტკიცე კურსი არსებობდეს.

კორ. - დღეს საქართველოში მიმდინარეობს რამდენიმე პოლიტიკური პოცესი, ასამართლებენ როგორც პრეზიდენტის მომხრეებს, ასევე იმ პირებს, რომელთაც პრეზიდენტი დაამხეს. რამდენადაც ვიცით, თქვენ შესაძლებლობა გქონდათ გასაუბრებოდით ორივე მხარის განსასჯელებს. როგორ ფიქრობთ, შეინიშნება ამ პროცესებს შორის მგავსი ტენდენციები?

მ.ა. - ჩვენ არ დაგვიშვეს არც ერთ მიმდინარე სასამართლოზე. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობა გვქონდა შევხვედროდით კიტოვანს და მის თანაგანსასჯელებს. ქობალიასაც მოვკარით თვალი სასამართლო დარბაზის კარიდან. გარდა ამისა, მოვახერხეთ გავსაუბრებოდით იმათაც, ვისაც უკვე გამოტანილი აქვს სასჯელი. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვითაც აშკარად გამოჩნდა განსხვავება ამ ადამიანთა ფიზიკურ მდგომარეობას შორის. მართალია, კიტოვანს გული აწუხებს, მაგრამ მას ფიზიკურად საკმაოდ ჯანმრთელი ადამიანის შეხედაობა აქვს. მაშინ, როცა ეგრეთ წოდებულ ზვიადისტთა ფიზიკური მდგომარეობა დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებს - გამხდრები, დაავადებულები... ცემისგან ჩაცვენილი კბილები, კახექსიური გარეგნობა. აშკარად ჩანს, რომ ის პირობები, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ დაპატიმრების შემდეგ, გაცილებით მძიმეა. პატიმართა მდგომარეობა საქართველოში სავალალოა. ამ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტპატიმართა შესახებ არ მაქვს საუბარი, ზოგადად პატიმრობის პირობებს ვგულისხმობ. ის, რაც ნორმად არის მიღებული საქართველოში, ეწინააღმდეგება ცივილიზებული საზოგადოების წარმოდგენას პატიმრობის შესახებ. მე, ცხადია, ვიზიარებ ზოგადად აღიარებულ აზრს იმის შესახებ, რომ დამნაშავეები იზოლირებულნი უნდა იყვნენ საზოგადოებისგან, ისინი უნდა დაისაჯონ. მაგრამ ცივილიზებულ სამყაროში მაშინ ხდება დამნაშავეთა იზოლირება საზოგადოებისგან, როცა სასამართლოზე დამტკიცდება, ხაზს ვუსვამ, უეჭველად დამტკიცდება, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული. თუმცა, არსებობს რაღაც სტანდარტები, რომელსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს საპყრობილეს პირობები. იქ პატიმრის ჯანმრთელობას საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს. მეტიც, რომელიმე ქვეყანაში რომ დამტკიცებულიყო, რომ ადგილი ჰქონდა პატიმართა მიმართ ისეთი სასტიკი მეთოდების გამოყენებას, როგორიც არის ფრჩხილების დაძრობა, სიგარეტების დაწვა სხეულზე, ადამიანის დამდუღვრა, მათ დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ვინ აგებს პასუხს პოლიტპატიმართა ჯანმრთელობაზე

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიამ გვაცნობა, რომ 4 ოქტომბერს, პარასკევს, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლატორში გადაიყვანეს ჯამბულ ბოკუჩავა და ნუგზარ მოლოდინაშვილი. საგულისხმოა, რომ გადაყვანა მოხდა მოულოდნელად, პატიმართა ეტაპირების წინა დღეს: დადგენილი წესით, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ეტაპირება ხდება შაბათობით, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას ძალზე ეჩქარებოდა.

თუ ვინაა ეს ვიღაცა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა პროცესის 7 ოქტომბრის სხდომაზე პროკურორები გამოვიდნენ საბრალდებო სიტყვით, რომელიც, როგორც წესი, დღევანდელ საქართველოში საბოლოო ვერდიქტის ძალას ატარებს და, საეჭვოა, სასამართლომ მასში საგრძნობი ცვლილებები შეიტანოს. ამიტომ, ბუნებრივია, მოსამართლე ალადაშვილმა, რომელიც უკანასკნელ დროს ერთობ ნერვიულად რეაგირებს ყველაფერზე, რაც ოდნავ მაინც ეწინააღმდეგება პროკურატურის სცენარს, წინასწარ დაიზღვია თავი და უზრუნველყო განსასჯელი პოლიტპატიმრების უფრო "კომფორტულ" პირობებში გადაყვანა. აღსანიშნავია ისიც, რომ ოთხი განსასჯელიდან სამი - ზვიად ძიძიგური, ნუგზარ მოლოდინაშვილი და ჯამბულ ბოკუჩავა არ ესწრებიან სასამართლოს სხდომებს.

ამ დროისთვის ნუგზარ მოლოდინაშვილის მდგომარეობა ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ საკმაოდ სტაბილურია და შეშფოთებას არ იწვევს. რაც შეეხება ჯამბულ ბოკუჩავას, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მას ჩაუტარდა მკურნალობის მხოლოდ ერთი კურსი და ჩასატარებელი დარჩა კიდევ ორი. მისი ოჯახის წევრებმა გვაცნობეს, რომ ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც ჯამბულ ბოკუჩავას შუა გზაზე უწყვეტენ მკურნალობას და გაუფრთხილებლად გადაჰყავთ საგამომძიებლო იზოლატორში. პირველად ეს მოხდა წინასწარი ძიების ეტაპზე, როდესაც სუს-ის იზოლატორში ორკვირიანი შიმშილობის შემდეგ იგი მოთავსებული იქნა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ასევე მოულოდნელად კვლავ დააბრუნეს საპატიმროში; მეორედ - ამა წლის მაისში, სასამართლო პროცესის მსვლელობისას, ბოკუჩავა და ძიძიგური პირდაპირ სასამართლოს სხდომის შემდეგ წაიყვანეს იზოლატორში ისე, რომ საავადმყოფოდან პირადი ნივთების აღების უფლებაც არ მისცეს. როგორც იმხანად ამტკიცებდა მოსამართლე ალადაშვილი, ეს მისგან დაუკითხავად მოხდა, რაც მეტად საეჭვოა. ამგვარ გადაყვანებს, საგანგებო მითითებით, მკურნალობის კურსის დაუსრულებლად, როგორც წესი, მოჰყვება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაზეც, ჩვეულებრივ, არავინ აგებს პასუხს.

# დავით ლოლაძეს მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა

"ყვარლის საქმისთვის" განსჯილი პოლიტპატიმარი დავით ლოლაძე, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველებმა არა ერთხელ აცნობეს შესაბამის სამსახურებს მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ სექტემბრის ბოლოს იქნა გადაყვანილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

როგორც ცნობილია, მას, "ყვარლის საქმისთვის" სხვა განსჯილებთან ერთად ქსნის კოლონიაში მოწყობილი პროვოკაციის შედეგად, გაუმკაცრდა სასჯელი და დამატებით მიესაჯა სამი წლით დახურული ციხის რეჟიმი. წინასწარი ძიების დროს მის მიმართ გამოყენებული წამების შედეგად, იგი მძიმედ დაავადდა, ხოლო განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში, აუცილებელი სამედიცინო დახმარების გარეშე, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა.

ჩატარებული ოპერაციის შემდეგ დავით ლოლაძე თავს საკმაოდ სუსტად გრძნობს, ესაჭიროება საგანგებო სამედიცინო მეთვალყურეობა და მკურნალობა, რისი შესაძლებლობაც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, საეჭვოა, ჰქონდეთ. საქართველოში IGFM-ის - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის ინდივიდუალურ წევრთა აზრით, ამგვარ მდგომარეობაში მყოფი პატიმარი ყველა პარამეტრით ექვემდებარება განთავისუფლებას.

# დემურ მიქაძეს ესროლეს... ლაყეკვერცხი

1 ოქტომბერს, ვაკის პრესტიჟულ უბანში, დღისით-მზისით, გასვენებაზე მოსულ ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს დემურ მიქაძეს ესროლეს ლაყე კვერცხი, რომელიც დედაქალაქის თავმომწონე შერიფს პირდაპირ თავში მოხვდა. პოლიციას კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, წარმოეჩინა თავისი შესაშური ოპერატიულობა: უმალ ბლოკირებულ იქნა უბანი, პოლიციის რაზმებმა გადაკეტეს მიმდებარე სახლების სადარბაზოები, ბინებში ჩატარდა სამძებრო ოპერაციები, დაკითხულ იქნენ მაცხოვრებლები, მცირეწლოვანი ბავშვების ჩათვლით. მათი ნაწილი დაბარებულ იქნა პოლიციაში.

ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად, პოლიციამ გაბედული მოქალაქის კვალს ვერ მიაგნო. ყიყლიყოსავით კვერცხში ამოვლებული მიქაძის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ სტუდია "აუდიენციის" სატელევიზიო პროგრამას "ვიდეოპატრული", არაფერი გადმოუცია ამ ინციდენტის შესახებ.

# ჩემი პატიმრობის თვითნებური გახანგრძლივება მიმაჩნია უკანონობად

**საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ბ-ნ ჯ. ბაბილაშვილს**

**სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებლო იზოლატორის პატიმრის,**

**შოთა რატიანის**

**განცხადება**

1995 წლის 30 აგვისტოდან, პარლამენტის შენობის ეზოში მომხდარი ცნობილი აფეთქების მეორე დღესვე, დაკავებული ვარ უშიშროების სამსახურის მიერ. ჩემს მიმართ აღძრულია საქმე № 341 და წამოყენებული მაქვს უმძიმესი ბრალდებები სს კოდექსის 65-ე, 67-ეს მეოთხე და 73-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით. დაპატიმრების პირველი დღიდანვე, თავი უდანაშაულოდ ვცანი. გამოძიების მსვლელობისას, მიუხედავად ჩემი არაერთგზის მოთხოვნისა, საგამომძიებლო ორგანოებს არ წარმოუდგენიათ რაიმე კონკრეტული მტკიცებულება ჩემი კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მხილების შესახებ და არ ჩაუტარებიათ ჩემი დაპირისპირება სხვა ბრალდებულებთან. გამოძიება დასრულდა 1996 წლის 26 მარტს (7 თვეში). ჩემი პატიმრობა უკვე გასცდა კანონით დადგენილ ვადას, საქმის მასალებს კი დღემდე არ გავცნობივარ. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ჩემი პატიმრობის უსაფუძვლობის მტკიცება, ამის შესახებ სასამართლოზე ვისაუბრებ, თუკი ასეთი პროცესი საერთოდ შედგება. დღეისათვის თქვენი ყურადღება სხვა გარემოებას მინდა მივაპყრო:

გასული წლის 24 აგვისტოს რესპუბლიკის მაშინდელი პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა "საქართველოს კონსტიტუცია" - სახელმწიფოს უზენაესი კანონი, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა თავად ხელისუფლების მიერ და ეწოდა "სახელმძღვანელო დოკუმენტი სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში". ამ დოკუმენტის მეთვრამეტე მუხლის მეექვსე პუნქტში მკაცრად არის რეგლამენტირებული ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა: "ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს". იქვე განმარტებულია, რომ "ამ მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით". მე-40-ე მუხლის მიხედვით კი, "ყოველი ადამიანი უდანაშაულოა სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენამდე". ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო, მას ძიების პროცესში უნდა წარედგინოს დანაშაულში მამხილებელი მყარი მტკიცება, ან ცხრა თვის ვადაში უნდა ჩატარდეს სასამართლო და გაირკვეს მისი ბრალეულობის საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უნდა განთავისუფლდეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უშიშროების საგამომძიებლო სამსახურის მიერ ჩემი პატიმრობის თვითნებური გახანგრძლივება მიმაჩნია უკანონოდ და კონსტიტუციით მინიჭებული ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად.

ამის შესახებ ა.წ. 7 ივნისს მე წერილობით მივმართე უშიშროების საგამომძიებლო სამსახურის უფროსს, გ. ლუბიანურს. პასუხი მივიღე 13 ივნისს, სადაც, ამ უწყების სახელით, გამომძიებელი დ. როგავა განმიმარტავს შემდეგს:

1. რომ მე ბრალად მედება არა პარლამენტის შენობის ეზოში მომხდარი აფეთქება, არამედ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, სამშობლოს ღალატი და ა.შ. (თითქოს ეს ჩემთვის დღემდე გაუგებარი იყოს).

2. დაპირისპირება იმიტომ არ შედგა, რომ ის პირები, ვისთანაც მე მოვითხოვდი დაპირისპირებას, არიან არა მოწმეები, არამედ ჩემსავით ბრალდებულები (გაუგებარი განმარტებაა).

3. რომ გამოძიებამ მე წარმომიდგინა მტკიცებულებები ექსპერტიზის დასკვნების სახით. გარდა ამისა, 28 მაისიდან დავიწყე საქმის გაცნობა (ნუთუ ჩემი დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებაა ჩემი ბინიდან ამოღებული რეგისტრირებული სანადირო თოფი და ვაზნები, სხვის ბინაში აღმოჩენილი ავტომატი ან რაღაც გაუგებარი "გეგმა" და "ფიცი". რაც შეეხება საქმის გაცნობას, მისი დაწყება მხოლოდ 28 მაისს დაფიქსირდა, ამის შემდეგ ეს მასალა თვალით არ მინახავს. ჩემთვის ცხადია, რომ ხელოვნურად ხდება საქმის გაცნობის გაჭიანურება, რათა შეიქმნას საფუძველი ბრალდებულთა პატიმრობის გახანგრძლივებისა).

4. გამოძიება დასრულდა 7 თვეში, არ გასცილებია ცხრათვიან რეგლამენტს და, ამდენად, უშიშროების სამსახურის მხრიდან კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია (კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტში საუბარია "ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაზე" და არა საგამომძიებლო ვადაზე. უშიშროების საგამომძიებლო სამსახური აშკარად ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს კანონის ეს მოთხოვნები "თავისებურად ესმით". ნუთუ პროფესიონალ იურისტებს იმის განმარტება უნდა სჭირდებოდეთ, რომ დაუშვებელია კანონის მრავალგვარი გაგება და მისი აღქმა უნდა მოხდეს ისე, როგორც წერია. დღეისათვის ჩემი პატიმრობა, ფაქტობრივად, წარმოადგენს სასჯელის მოხდას უშიშროების სამსახურის მიერ წინასწარ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, რისი უფლებაც მას არა აქვს - ეს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა).

5. დაბოლოს, გამომძიებელი დ. როგავა "მამშვიდებს", რომ ჩემს მიერ საპატიმროში გატარებულ დროს გაითვალისწინებს სასამართლო, რაც საბოლოოდ შესაბამის ასახვას ჰპოვებს განაჩენში (ის ფაქტი, რომ გამოძიება ასე დაჯერებით საუბრობს ჩემს გარდაუვალ სასჯელზე, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს).

ამ პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ უშიშროების სამსახური თავს არიდებს ჩემი განცხადების ძირითად თემაზე მსჯელობას (კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა) და აქცენტი შეგნებულად გადააქვს მეორეხარისხოვან საკითხებზე.

ბატონო გენერალურო პროკურორო, თავს ნებას მივცემ მოგაგონოთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი საზომი არის ის, თუ რამდენად ემორჩილებიან კანონს თავად ხელისუფლების ორგანოები.

დასასრულს, გთხოვთ განმიმარტოთ: რა კანონიერი საფუძველი აქვს უშიშროების საგამომძიებლო სამსახურის ქმედებას ჩემს მიმართ და რა უფლებით არღვევს სახელმწიფოს უზენაეს კანონს ეს უწყება, რომელიც თავად განეკუთვნება "სამართალდამცავი ორგანოების" კატეგორიას.

**17.06.96.**

***შ. ვ. რატიანი***

**ა.წ. 17 ივნისს პოლიტპატიმარ შოთა რატიანის განცხადება გაეგზავნა საქ. რესპუბლიკის პროკურორს, ბ-ნ ჯ. ბაბილაშვილს (№ п/36). 26 აგვისტოს განცხადება გაეგზავნა სახ. უშიშროების კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსს, იუსტიციის უფროს მრჩეველს, ბატონ ყურაშვილს (№ п/71)**

**განცხადებები დღემდე უპასუხოდაა დარჩენილია**

# სამაჩაბლოშიც და აფხაზეთშიც რუსს ვებრძოდით

30 სექტემბერს, სამთვე-ნახევრიანი "შესვენების" შემდეგ, გაიხსნა სასამართლო პროცესი კანონიერი ეროვნული გვარდიის ოფიცრის, გორის ბატალიონის უფროსის - რამაზ ვანიშვილის მიმართ. რამაზ ვანიშვილის სასამართლო დაიწყო 17 ივნისს. სამი სხდომის შემდეგ პროცესი შეწყდა და პოლიტპატმარს ლამის შიმშილობის გამოცხადებაც კი დასჭირდა, რათა პროცესი გაგრძელებულიყო. სხდომის გახსნისთანავე განასჯელმა საზოგადოებრივ დამცველად ქ-ნი სევდია უგრეხელიძის დაშვება მოითხოვა და იშუამდგომლა სასამართლო კოლეგიის სრული შემადგენლობის აცილების შესახებ: "...სამხედრო სასამართლომ მომისაჯა 5 წელი, სასჯელს ვიხდიდი, მაგრამ განაჩენი გამიუქმეს, საქმე ძიებაში დააბრუნეს, ბრალდება დამიმძიმეს - დამიმატეს სამშობლოს ღალატი და დიდი ოდენობით ქონების დატაცება... სასამართლო დაიწყო, მაგრამ რატომღაც სამი თვით გადაიდო. ვეჭვობ,რომ სასამართლოს შემადგენლობა ხელისუფლების გავლენის ქვეშაა მოქცეული და ობიექტური ვერ იქნება..."

როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ეს შუამდგომლობა. საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ვანიშვილმა განაცხადა, რომ თავს არ ცნობს დამნაშავედ არც ერთი მუხლით. სხდომა გადაიდო დამცველისთვის საქმის მასალების გაცნობის მოტივით.

პროცესი გაგრძელდა 3 ოქტომბერს. ვანიშვილმა სთხოვა სასამართლოს გადაეტანათ სხდომა მეორე დღისთვის, რადგანაც თავს შეუძლოდ გრძნობდა - იზოლატორში სამედიცინო შემოწმებით დაუდგინდა საჯდომი ნერვის ანთება (იშიაზი),დაუნიშნეს ძლიერმოქმედი პრეპარატები. განასჯელისავე დაჟინებული მოთხოვნით, ის წამოიყვანეს სხდომაზე, რათა თვითონ განეცხადებინა ამის შესახებ, რადგანაც დაინტერესებული იყო სხდომის გაგრძელებით.

მოსამართლე ჯემალ ცისკარიშვილმა გამოიძახა შსს მთავარი სამმართველოს სამედიცინო განყოფილების უფროსი - ოთარ მენთეშაშვილი და იზოლატორის ექიმი-ორდინატორები,რომლებმაც ზეპირი კითხვა-პასუხით(?!) დაადგინეს, რომ განასჯელს შეუძლია პროცესში მონაწილეობა 'სათანადო ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების გაკეთების შემდეგ. ინექციამ შედეგი არ გამოიღო და საკმაოდ მწვავე კამათის შემდეგ, სხდომა გადაიდო.

4 ოქტომბრის სხდომა დაიწყო რამაზ ვანიშვილის დაკითხვით. პოლიტპატიმარმა, ფაქტობრივად, გაიმეორა ივნისში მიცემული ჩვენება. მან განაცხადა, რომ იყო კანონიერი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი. 1991 წლის მარტის ადგილობრივ არჩევნებში გორის მოსახლეობამ აირჩია საკრებულოს დეპუტატად, იბრძოდა სამაჩაბლოში, იცავდა ქართულ მოსახლეობას. როგორც შემდეგ დამცველის შეკითხვიდან გაირკვა, სამაჩაბლოში ის და ლოთი ქობალია ერთ პერიოდში იბრძოდნენ და იქიდან იცნობდა მას. პუტჩის შემდეგ, როგორც პრეზიდენტის მომხრეს, სდევნიდნენ და ავიწროებდნენ "მხედრიონი" და უშიშროების სამსახური. სწორედ ამ პერიოდში რამაზ ვანიშვილი, მისი ძმა მალხაზი და მეგობარი გიორგი ფალელაშვილი შევიდნენ სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, რათა დაეცვათ სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობა.

პროკურორის კითხვაზე, იცნობდა თუ არა ვანიშვილი სამშვიდობო ბატალიონის წესდებას, პოლიტპატიმარმა უპასუხა, რომ არავითარი წესდება არ ყოფილა. დამცველის შეკითხვის პასუხად, მან დაადასტურა, რომ სამშვიდობო ჯარში არ იყო წესრიგი, ზამთარში ეცვათ საზაფხულო ფორმა, საჭმელს დვანის მოსახლეობა აძლევდათ, ტყვია-წამალი არ ჰქონდათ და, საერთოდ, რუსები აკონტროლებდნენ სიტუაციას...

შემდეგ რამაზ ვანიშვილმა განაგრძო:"ჩემი სამაჩაბლოში ყოფნა საჭირო იყო 1993 წლის გაზაფხულამდე, სანამ იყო დაძაბულობა, შემდეგ უკვე აღარ იყო საომარი ვითარება...ჩემი მოვალეობა გავაგრძელე აფხაზეთში. როდესაც დასავლეთ საქართველოში აღდგა კანონიერება, ლოთი ქობალია დაინიშნა ეროვნული გვარდიის სარდლად, პრეზიდენტმა გამოაცხადა მობილიზაცია, დავემორჩილე ბრძანებას - წავედი აფხაზეთში საომრად. ძალა არავისთვის დაგვიტანებია, ვისაც სურვილი ჰქონდა, ის წამოვიდა. იარაღი თან წავიღეთ, აბა ომში უიარაღოდ ხომ არ წავიდოდით..."

დამცველის კითხვაზე, თუ რა ვითარება იყო იმ პერიოდში დასავლეთში და სად იყო ქობალია, განასჯელმა უპასუხა: "ქობალია იბრძოდა აფხაზეთში და 22 აპრილისთვის დაბრუნდა ზუგდიდში; ამას სამთავრობო ტელევიზია აცხადებდა, მაშინ ქობალიას ბატონობით მოიხსენიებდნენ".

დამცველის შეკითხვაზე, თუ ვის ებრძოდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, განასჯელმა უპასუხა:" სამაჩაბლოშიც და აფხაზეთშიც ჩვენი მოწინააღმდეგე, რუსი იყო".

მოსამართლის დაინტერესების შემდეგ, ვანიშვილი ვრცლად შეეხო გორის ბატალიონის ტყვედ ჩავარდნის ეპიზოდს:"1993 წლის ოქტომბერში სამტრედიაში აღდგა კანონიერი ხელისუფლება. ქალაქის განთავისუფლების დროს, ქობალიას შენაერთებმა ტყვედ აიყვანეს გორის ბატალიონის მეომრები. ეს ამბავი ჩხოროწყუში გავიგე, სადაც კომენდანტად ვიყავი დანიშნული. დავჯექი მანქანაზე და ჩავედი სამტრედიაში. იქ შევიტყვე, რომ 52 ტყვე გადაუყვანიათ ფოთში. მათ შორის იყვნენ დაჭრილებიც. წავედი ფოთში, საავადმყოფოში მოვინახულე დაჭრილები, ფოთის სამხედრო კომენდატურაში ენახე ტყვეებიც. გამოვიყვანე და სამი დღე ვაჭმევდი სასადილოში. მაშინ ბევრი პროვოკაციები იყო და მეშინოდა, ბიჭებისთვის არავის ეწყენინებინა. შემდეგ ფოთის პრეფექტს გამოვაყოფინე სეინერი და ლტოლვილებთან ერთად გამოვუშვი ბათუმში."

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით, როგორც დამცველებისგან გაირკვა, დაკითხულნი არიან გორის ბატალიონის მეომრები და ისინი ადასტურებენ ვანიშვილის მიერ მათი განთავისუფლების ფაქტს.

შემდეგ დაიკითხნენ რამაზ ვანიშვილის მეუღლე და დედა, რომელთაც ასევე დაადასტურეს მათი ოჯახის დევნა-შევიწროების ფაქტები.

ვანიშვილების დედა - ნათელა ვანიშვილი: "როდესაც რამაზი და მალხაზი წავიდნენ აფხაზეთში, დაიწყო ჩვენი ოჯახის დაწიოკება... ღამით შემოგვივარდნენ მხედრიონელები, 7 წლის ბავშვი კედელთან მიაყენეს, პირზე ხელი დააფარეს, სახლი გაჩხრიკეს, ფულს ეძებდნენ, რომ ვერაფერი იპოვეს, 2 წლის ბავშვს პირში პისტოლეტის ლულა ჩაუდეს და ფული მოგვთხოვეს. სახლში რაც გვქონდა (3 ათასი მანეთი), გამოფუტანეთ. სიცილად არ ეყოთ - მე და ჩემი რძალი ჩაგვაგდეს მანქანაში, მილიციის წინ გადმოგვიყვანეს და ფეხებში გვესროლეს ავტომატის ჯერი ყვირილით:"სად არის მილიცია, აბა გამოვიდნენ,თუ ვაჟკაცები არიანო"... ამ ამბის შემდეგ ბავშვები და რძლები მძახლებთან წავიყვანე დასავლეთში... ჩემთან სახლში მოდიოდნენ გვარდიელები, მილიციის თანამშრომლები, შინაგანი ჯარის წარმომადგენლები, რომლებიც რამაზმა და მალხაზმა გადაარჩინეს... მათგან ვიგებდი ჩემი შვილების ამბავს - აფხაზეთში რომ იბრძოდნენ.

როცა კანონიერი ხელისუფლება დამარცხდა დასავლეთში, ბიჭები ჩამოვიდნენ... მხედრიონელებმა დახვრიტეს მალხაზი და გია ფალელაშვილი, რამაზი დაჭრეს. მე ეს ამბავი ტელევიზიიდან გავიგე... დაჭრილი რამაზი მეზობლებმა მოიტაცეს და საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ მხედრიონელებმა მიაგნეს. ექიმები არ მიაკარეს, ჭრილობაში ავტომატს ურტყამდნენ. გადაიყვანეს მილიციაში, მალხაზის ცხედარი კი მორგში მიეტანათ და კიბეებზე დაეგდოთ...ცხედარში 50 000 მანეთი მოგვთხოვეს..."მხედრიონი" ხალხს აშინებდა, რომ სამძიმარზე არ მოსულიყვნენ... რამაზთან რომ მივდიოდი მილიციაში საჭმლის მისატანად, მაშინებდნენ -მოგკლავთ, თუ კიდევ მიუტან საჭმელსო...

გორის საავადმყოფოში შოკში მყოფი რამაზი უადვოკატოდ დაკითხა გამომძიებელმა - რობინზონ ნუროშვილმა, ჩვენებას თვითონ წერდა."

შემდეგ დაიკითხა მხედრიონელების მიერ დახვრეტილი გიორგი ფალელაშვილის დედა. მან აჩვენა, რომ არაფერი იცოდა მისი შვილის აფხაზეთში საომრად წასვლის შესახებ, აღწერა "მხედრიონის" მიერ მათ სახლში ჩატარებული "ოპერაცია":...მოვიდნენ, იკითხეს ვანიშვილები. გადავყევი რამაზის სახლში. იქ მისდგნენ და ფანჯრები სულ ჩაულეწეს ავტომატით... მერე მოვიდნენ უშიშროებიდანაც. მათ უსაყვედურეს კიდეც მხედრიონელებს - ჩვენზე წინ რას გარბიხართო, მაგრამ ძალა მხედრიონისკენ იყო... ჩემი მეუღლე იწვა, როდესაც სახლში შემოგვივარდნენ გინებით. კონდახები ურტყეს - სად იმალებიანო...უკვე მიდიოდნენ, რომ ერთმა პატარა ბიჭმა - სულ ახალგაზრდები იყვნენ, 17-18 წლისანი - შენიშნა, თივებში იმალებოდნენ... მჭედლიშვილმა ჯერ მალხაზი დაცხრილა, მერე გია დაჭრა თეძოში...3 საათილა იცოცხლა...რამაზს მკლავში მოხვდა..."

გიორგი ფალელაშვილის დამ - დიანამ დაადასტურა დედის ჩვენება:" ...ძალა "მხედრიონს" ჰქონდა... არბენინეს უშიშროება და პოლიცია... ვჩივით ლევან მჭედლიშვილზე, რა უფლებით მოგვიკლა გია. მაშინ ძალა ჰქონდათ, ახლა ხომ არა აქვთ?"

ფალელაშვილები ბრალად უყენებენ რამაზ ვანიშვილს, რომ გია ფალელაშვილი ძალით წაიყვანა აფხაზეთში: "მე მჯერა, რომ გია მეთაურის ბრძანებას დაემორჩილა და ისე წავიდა..." მაგრამ, როგორც განასჯელის განცხადებიდან და მოწმე ნათელა ვანიშვილის ჩვენებიდან ირკვევა, გიორგი ფალელაშვილმა მტკიცე უარი განაცხადა სახლში დაბრუნებაზე და წერილიც გამოატანა დედასთან. მოსამართლის კითხვაზე, თუ რა ეწერა წერილში, ლიანა ფალელაშვილმა განაცხადა: "დედა, კარგადა ვარ, ნუ ნერვიულობ, მალე ჩამოვალო".

შემდეგ სასამართლომ დაკითხა მოწმეები - კობა თურმანიძე და თემურ კოპაძე. ორივემ დაადასტურა, რომ სამშვიდობო ბატალიონის წევრი იყო და წაჰყვა ვანიშვილებსა და ფალელაშვილს აფხაზეთში საომრად: "ყველამ ერთად მოვილაპარაკეთ, რომ წავსულიყავით აფხაზეთში საომრად...ვმონაწილეობდით ტამიშის, შრომის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის საბრძოლო ოპერაციებში...არავინ გვაიძულებდა იქ დარჩენას. როცა გვინდოდა, წამოვედით... ჩხოროწყუში კი წესრიგს ვიცავდით..."

კობა თურმანიძემ აჩვენა: "...ინგირის ხიდს ვათავისუფლებდით ბეტონის ფილებისგან, რათა ლტოლვილები გამოსულიყვნენ. იარაღს ვართმევდით, რომ საბრძოლო პოზიციებიდან შეიარაღება არ გამოეტანათ. ვიწერდით და თუ უკან დაბრუნდებოდნენ, ისევ ვუბრუნებდით პატრონს. მაგალითად, ხშირად ცოლ-შვილი გამოჰყავდათ. ვატარებდით და როცა ბრუნდებოდნენ, იარაღს ისევ ვაძლევდით."

სამხედრო ტყვის - რამაზ ვანიშვილის სასამართლოს სხდომები 7 ოქტომბერს განახლდება.

***ნინო ჩეჩელაშვილი***

# აგრესიული წერილი პროვინციულ მელოდრამაზე

როგორც ჩანს, პროვინციული ფაშიზმის მხილებით ჯერ კიდევ არ მოღლილა ქართული კინოელიტა. რევოლუციურ ქარცეცხლში გამოწრთობილ ქართველ კინოელიტარებს კვლავ უწევთ პროვინციულ ფაშიზმზე საუბარი, საზოგადოებისთვის იმ საფრთხის შეხსენება, რომელიც ამ საშიში სენიდან მომდინარეობს. ალბათ, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ამ ბოროტებასთან ბრძოლის ბობოქარი "დემოკრატიული" ხერხები ამოიწურა და ამიტომაც, ნაბრძოლმა "კინოშნიკებმა" ნაცადი ხელობაც გაიხსენეს...

და ახალ ფილმში "ორფეოსი" კვლავ აჟღერდა კეთილისა და ბოროტის, სიყვარულისა და სიძულვილის მარადიული მოტივები. ავტორისეული სათქმელის დაკონკრეტების მიზნით კი, წინასწარ შეირჩა საყოველთაოდ აღიარებული, თუმცა, საკმაოდ მოძველებული და გაცვეთილი სქემა: პროვინციულ ფაშიზმსა და ჭეშმარიტ ინტელიგენტს შორის არსებული კონფლიქტი. მეტი დრამატიზმისთვის, ან იქნებ იმისთვის, რომ არ დავეჭვებულიყავით ინტელიგენტის პირუთვნელ სიმართლეში, მის გამორჩეულად ფაქიზ ესთეტიკურ სამყაროს უპირატესობაში, ფილმის ავტორებმა ძველბერძნული მითის ტრანსფორმაცია გადაწყვიტეს. ამგვარად, ტოტალური აზროვნების სტილსა და არქეტიპებით მანიპულირებას უფრო შთამბეჭდავად უნდა წარმოეჩინა არსებული კონფლიქტის "გლობალური" ხასიათი.

ამგვარი რემინისცენციები კინემატოგრაფში - არახალია, ძველია. გავიხსენოთ თუნდაც ფრანგი კინოელიტარის, ჟან კოკტოს პოეტური ფილმი "ორფეოსი". თუკი პირდაპირი ანალოგიის პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, ქართული "ორფეოსი" ჩვენი ელიტარული კინოს ნიმუშად ჩაითვლება. მით უმეტეს, რომ ინტელექტუალური გამორჩეულობის პრეტენზია ნამდვილად აქვს ამ ფილმს.

საერთოდ, ქართულ პოსტრევოლუციურ კინოელიტას რატომღაც ძალზე აღელვებს "ორფეოსის" მითი. ამ მითის მიმართ არც თეთრმანდილოსანთა ლიდერი დარჩენილა გულგრილი, თუმცა, თანამებრძოლ კოლეგისგან განსხვავებით, მის "ევრიდიკეს" არ დაუსახავს დიადი მიზნები. პირიქით - ამ ფილმით, პოლიტიკური აქტიურობისგან გადაღლილი ქალი შეეცადა ესთეტიკური ჟინის დაკმაყოფილებას და გადაწყვიტა, ამჯერად კინოს გზით დამტკბარიყო საყვარელი თეთრი კოლორის მრავალაზროვანი სიღრმით, რომელიც ასე უხვად გაბნია ფილმში.

ჩვენი არაელიტარული გაზეთის მკითხველს მითის მთავარ მოტივს შევახსენებთ: სატრფოს დაკარგვით შეძრწუნებული ორფეოსი ცდილობს, ჯოჯოხეთიდან დაიხსნას საყვარელი ევრიდიკე. მართალია, "ორფეოსის" რეჟისორს შეეძლო ეროვნული ლიტერატურის საგანძურიდანაც მოეძია მარგალიტები (ქართველ პოეტებს ხომ ასე ძლიერ უყვართ, როცა პროვინციულ ფაშიზმს ქაჯეთის ციხეს ადარებენ, ხოლო ტარიელის მიერ ავსულებისგან ნესტან-დარეჯანის დახსნაში კი, ბუნებრივად გულისხმობენ ხოლმე სალი დემოკრატიული აზროვნების გამარჯვებას ქაჯეთის მკვიდრთა ბნელ აზროვნებაზე...) მაგრამ მან ბერძნული მითი არჩია, როგორც ჩანს, უფრო "გლობალური", კუთხურობის ყოველგვარ ელემენტს მოკლებული მასშტაბის გამო.

ქართული "ორფეოსის" ფილმის გმირი, პროფესორი ვახტანგი, ცნობილი კინოესთეტის, ვისკონტის პერსონაჟსაც შეიძლება შევადაროთ ფილმიდან "ოჯახური პორტრეტი ინტერიერში" (იმედია, ინტელიგენციას არ აღაშფოთებს კოსმოპოლიტური ალუზიები). ბატონი ვახტანგი რეალობისგან მოწყვეტილ, იზოლირებულ ცხოვრებას ეწევა მწვანე ოაზისისა და პეპლების გარემოცვაში.

იტალიური "ინტერიერის" გმირის დარად, ქართველი ინტელიგენტი - განდეგილის ოაზისში მოულოდნელად იჭრება მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ნინო. კეკლუცი ქალის არშიყობისგან თავბრუდახვეული პროფესორი "ორფეოსი" მტკიცედ გადაწყვეტს, გზააბნეული ყმაწვილი ქალი გამოსტაცოს ბოროტ ძალებს, თუმცა, ამ ბრძოლაში იგი საოცრად მარტოა (ეგზისტენციალისტური შეჭირვება).

ბოროტ ძალას ფილმში პროვინციელთა ჭრელი ფენა გამოხატავს. ჯოჯოხეთის მსახურთა მხატვრული სახის ხორცშესხმისას რეჟისორი შორს არ წასულა: თითო-ოროლა კარვის ქალი, წვერგაბურძგნილი სვანურქუდიანი მამაკაცები მკერდზე მიბნეული ფოტოსურათებით. ისინი მოურიდებლად იჭრებიან ღვაწლმოსილი პროფესორის ლექციებზე, აუდიტორიიდან აგდებენ სტუდენტებს, მუშტებს უტრიალებენ, ტუქსავენ და ემუქრებიან საწყალ პროფესორს. ბნელეთის მსახურთა უფრო პრივილეგირებულ, რანგით მაღალ საფეხურს განგსტერულ-მოძველბიჭო კლანი ასახიერებს. მითოლოგიური ქვეტექსტით, ისინი ჯოჯოხეთის მმართველნი არიან, რომელთაგანაც ნინო-ევრიდიკეს დახსნას ასე დაჟინებით ცდილობს ბატონი ვახტანგი-ორფეოსი. გრძელლაბადიანი და ჟილეტიანი ბიჭები უცხო მარკის ფერადი მანქანებით დაგრიალებენ, იარაღს ატრიალებენ, ღამის რესტორნებში ბინადრობენ და საყვარლებს ძვირფას ტანსაცმელს და ნარკოტიკებს "აყრიან თავზე". ფეშენებელურ აგარაკებზე მიირთმევენ გერმანულ ლუდს, რომელსაც, თურმე, თავის "სიცოცხლეში ვერ ეღირსება ბატონი ვახტანგი" (რაოდენ საწყენია, რომ თვით დემოკრატიულმა რევოლუციამაც ვერ მოუპოვა უფლება ქართულ პროფესურას, შურის თვალით არ შესცქეროდეს წარმატებულ ბანდიტს და მასავით უბრალოდ შეექცეოდეს გემრიელ გერმანულ ლუდს).

ფილმის ავტორებს განუწყვეტლივ უწევთ იმის შეხსენება მაყურებლისთვის, რომ მთავარი გმირები, თანამედროვე ატრიბუტიკის მიუხედავად, ნამდვილად მითოლოგიური პერსონაჟები არიან - მარადიულნი და ზოგადკაცობრიულნი. მაგრამ დიდი შემოქმედებითი წარმატებებით ვერც აქ დაიკვეხნიან და უფრო იოლ გზას არჩევენ, კინემატოგრაფიული თვალსაზრისით მეტად პრიმიტიულ და უსახურ ხერხს მიმართავენ - ფილმში უხვად არის ჩაყრილი საკონცერტო ნომრები - სოლისტი, ცნობილი ქართველი ავანგარდისტი, მისთვის ჩვეული, კოსმიური შორეთების მჭვრეტელი მისტიკოსის გამომეტყველებით, ელექტროგიტარაზე ამღერებს ორფეოსისა და ევრიდიკეს მითის "პოეტურ" ვარიაციებს. დროგამოშვებით, ავანგარდისტი შემსრულებელი კონვულსიებში ვარდება - მისი შესრულება ალტყინებასა და დაუოკებელ ჟინში გადადის. ეს არის ფილმის ერთადერთი პერსონაჟი, თავად პროფესორ ვახტანგ-ორფეოსის გარდა, რომლის მიმართ რაღაცაგვარ სიმპათიას ამჟღავნებენ ავტორები.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილმში საერთოდ არაფერია მოტივირებული, თვით ისეთი მარტივი რამეც კი, როგორიც არის ავტორთა სიმპათია-ანტიპათია პერსონაჟთა მიმართ. მაგალითად, სრულიად გაუგებარია, დახვეწილ პროფესორს, რომელსაც ყველა და ყველაფერი აღიზიანებს, რატომ ჰგვრის ასეთ აუხსნელ ნეტარებას ნინო-ევრიდიკეს პრიმიტიულ, არაფრით გამორჩეულ, უინტერესო ამხანაგებთან ურთიერთობა.

არც ინტელიგენციისა და ბრბოს კონფლიქტის საილუსტრაციოდ გარჯილან ავტორნი დიდად. უახლოესი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით ამოკრიფეს ლოზუნგური ფრაზები ავად სახსენებელი ფაშისტური მიტინგებიდან თუ პრესიდან და უხვად მიმოაბნიეს უსიმპათიო პერსონაჟთა ლექსიკაში. ამ ფრაზების განუწყვეტელი ციტირება იმდენად მოსაწყენი და უინტერესო ხდება, რომ, ბოლოს და ბოლოს, მაყურებელი სრულიად კარგავს სურვილს გაერკვეს, სინამდვილეში რას ეფუძნება პროფესორის კატეგორიული შეფასებები; რატომ არის ხალხი ეგზალტირებული და აგრესიული; რატომ არის მათი მიტინგები უშინაარსო, ხოლო დამოკიდებულება ინტელიგენციის მიმართ - აგდებული და არასახარბიელო. გარეშე, უცხო მაყურებელი, რომელიც უახლესი წარსულის მოვლენათა დემოკრატიულ კურსში არ არის გარკვეული, შეიძლება ვერც კი მიხვდეს, რატომ სძულთ ასე ერთმანეთი დაპირისპირებულ მხარეებს. ფილმის ავტორები, პასუხის ნაცვლად, წინასწარ დამუშავებულ, დემოკრატიულ ყალიბში გატარებულ სქემას გვახვევენ თავს, რადგან იმთავითვე დაპროგრამებულია, რომ ბოროტ ძალებთან მებრძოლ ინტელიგენციას გამორჩეული მისია აკისრია და სწორედ იგია ერთადერთი შეუმცდარი და მამხილებელი ძალა სამყაროში. ამის უალტერნატივო არგუმენტად აეროპორტში, დამხობილი დიქტატურის ნანგრევებზე წარმოთქმული ეპოქალური სიტყვებიც კმარა, რომელიც სწორედ ასეთი შეუმცდარი ინტელიგენციის გარემოცვაში და მისი ღვაწლს შეფასებისას დაიბადა. სხვა, უფრო მხატვრული, ან, გნებავთ, ინტელექტუალური არგუმენი ავტორებს არც სჭირდებათ.

მაგრამ ფილმის ავტორებმა სიუჟეტის დრამატიზება ინებეს. რეალობისგან განსხვავებით, ფილმში ინტელიგენციის ბრძოლა დამარცხებით მთავრდება (საინტერესოა, რატომ დაიჯაბნა ასე უსამართლოდ ინტელიგენტის განუსაზღვრელად დიდი როლი ფაშიზმთან ბრძოლაში, რომლის დევნა და განადგურება ჯერ კიდევ თბილისის ცენტრალური ქუჩებიდან დაიწყო და გრძელი, ნადავლიანი მარშრუტით გაგრძელდა განაპირა პროვინციებში (ორფეოსზე არანაკლებ პოპულარული მითების საუფლოში). პროვინციულ ფაშიზმთან, ანუ ჯოჯოხეთურ ძალებთან დაპირისპირება ინტელიგენტისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იღუპება ნინოც (ევრიდიკე) და მისი კეთილშობილი სატრფოც (ორფეოსი). ეს არაგულწრფელი და ხელოვნური ფინალი დაჩაგრული და გვემული ინტელიგენტის შესახებ, ვერ განზოგადდა (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში). დარჩა ოდენ ოდიოზური ისტორია დახვეწილი პროფესორისა და მეძავი ქალის სასიყვარულო ინტრიგის თაობაზე. ვითომ მღელვარე სასიყვარულო დრამა - არათუ ელიტარული კინოს რომელიმე მაღალ ნიმუშს, დასავლეთის მასობრივი ვიდეოპროდუქციის იაფფასიან სიუჟეტსაც კი ვერ გასცდა.

* * *

"ორფეოსის" რეჟისორმა სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ მისი ფილმი მხოლოდ შინაური მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული და არავითარ შემთხვევაში - უცხოური კინობაზრისთვის.

**P.S.** თითქმის ცარიელ დარბაზში მაყურებლები არაკეთილგანწყობილ რეპლიკებს ისროდნენ; ფილმის დასასრულს კი, რეჟისორის მისამართით, გვარიანად შეიკურთხეს. იქნებ ამ კონტექსტში უპრიანიც კი ყოფილიყო, ავტორთათვის ორფეოსის სუპერტრაგიკული ფინალი შეგვეხსენებინა. ორფეოსი (= ვახტანგი= ზოგადად ინტელიგენტი = ფილმის ინტელიგენტი ავტორები) გამძვინვარებულმა ქალებმა დაფლითეს თრაკიაში. როგორც ჩანს, "ბრბოს" იმთავითვე აღიზიანებდა დაუსაბუთებელი პრეტენზიები გამორჩეულობაზე. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, "პროვინციული ფაშიზმი" ისეთივე უძველესი არქეტიპია, როგორც თვით მითი მშვენიერი მომღერლის შესახებ.

ო. წუწუნავა


TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

No35 (in brief)

8 - 14 October, 1996


## Who Bears Responsibility for the Health of Political Prisoners?

Jambul Bokuchava was moved to the isolation detention cell far before he completed his treatment at the hospital.

The human rights Commission of Georgian Helsinki Union informed us that on October 4, on Friday, Jambul Bokuchava and Nugzar Molodinashvili were moved from the Republican Prison Hospital to #1 Investigatory Isolation Cell. It is noteworthy that this transfer occurred quite unexpectedly right the day before the prisoners were supposed to be deported under the guard, by the generally accepted order with exception of emergency cases deportation under guard is always performed on Saturdays. However, it seems somebody was in a terrible hurry.

Who is this somebody is not difficult to guess. At the Court Session of October 7 in the course of ongoing hearing of Zviad Gamsakhurdia and his Supporters Case in the Supreme Court the prosecutors pronounced their indictment which under the conditions of the present day Georgia has the effect of the final verdict and it is most unlikely that the Court would introduce any more or less significant changes in it. So, it is only natural that the judge Aladashvili who since recently shows rather nervous response to everything which event in the slightest degree contradicts the Prosecutor's Office scenario, took adequate precautions to be on the safe side and ensured transfer of the political prisoners to more "comfortable" conditions. It is also noteworthy that of four defendants three - Zviad Dzidziguri, Nugzar Molodinashvili and Jambul Bokuchava were not attending the Court Sessions.

By that time the state of health of Nugzar Molodinashvili is rather stable even after the long-term hunger-strike and does not cause any concern, As for Mr. Jambul Bokuchava he was administered only one course of treatment with two more courses remaining to be administered. The members of his family informed us that it was already the third case when treatment of Mr. Jambul Bokuchava was ceased in its beginning with his subsequent transfer to the investigatory isolator. First it happened in the course of preliminary investigation when after two week long hunger-strike at the KGB isolation detention cell he was hospitalized from the Republican Prison Hospital and then quite unexpectedly was returned to the jail; for the second time it happened in May, 1996 in the course of Court hearing when Mr. Bokuchava and Mr. Dzidziguri were taken to the isolation detention cell directly from the Court hall so that they even were not allowed to rake their personal things from the hospital. As the judge Aladashvili claimed then all this happened without him being aware, which to put it mildly sounds very unlikely. Such transfers of the prisoners under the special instructions with abrupt cessation of the process of treatment as a rule are entailed with aggravation of the state of their health with nobody bearing responsibility for this.

## David Loladze was Subjected to serious Surgical Intervention

The political prisoner, convict of the "Kvareli Forest" case Mr. David Loladze was transferred to the republican Prison Hospital only in the end of September though the human rights defenders more than once informed respective bodies about the most grave state of the prisoner's health. As it is known, he together with other convicts of the "Kvareli Forest Case" as a result of the inspired provocation was subjected to more strict punishment and was sentenced to additional three year imprisonment under the conditions of the closed prison. As a result of tortures in the course of the preliminary investigation he got seriously ill and under the conditions of especially strict regime with no medical aid at all his state became even worse.

After the surgical intervention Mr. Loladze is feeling himself rather weekly; he requires a long-term medical follow-up and treatment which is most unlikely to be available in the prison hospital. By the opinion of the individual members of IGFM in Georgia the prisoner with such state of health meets all requirements for being released from the prison.

## Statement

### of the Prisoner of Investigation Isolation Cell of the Ministry of State Security, Mr. Shota V. Ratiani

Since August 30, 1995, on the very next day after the explosion which occurred in the yard of the Parliament Building I am being detained by Security service. A charge #341 is brought against me and I am accused with most grave crimes envisaged by Article 65, fourth part of Article 67 and second part of Article 73 of the Criminal Code of Georgia.

From the very day of my arrest I declared myself innocent. In the course of investigation irrespective of my persistent requests the investigation bodies failed to present any specific proofs confirming my participation anti-law actions and I was not confronted with other defendants. The investigation was over on March 26, 1996 (in 7 months). My imprisonment has already exceeded all admissible terms envisaged by the Law, and yet I am not so far allowed to get acquainted with the, materials of my Case.

On August 24, 1995, the Parliament of Georgia adopted "The Constitution of Georgia" item 6 of Article 18 of which strictly determines the term of preliminary imprisonment of the defendant: "The preliminary imprisonment of the defendant should not exceed 9 months". And this statement is followed by the following sentence "Violation of this requirement is entailed with adequate punishment". In accordance to Article 40 "Every human being is considered innocent until the Court verdict pronounces him otherwise". This means that if the defendant did not recognize himself guilty, he should be presented well grounded proofs in the course of preliminary investigation confirming his crime. Within this 9 month term the Court Hearing must be conducted and the Court must decide whether the defendant is guilty or not. Otherwise he should be released. Proceeding from the above said I consider prolongation of my imprisonment by the investigation body of the Security Service as illegal and rough abuse of human rights guaranteed by the constitution.

Mr. Prosecutor General I am taking a liberty to recall you that one of the most important measures of democracy in the country is the degree to which the law and order bodies observe the Law.

Finally I appeal to you with the request to explain me what lawful grounds are the investigation bodies of the Security Service basing on in my case and why do they violate the supreme Law of the State while being the integer part of the Law and Order Bodies?

June 17, 1996


მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441

იბეჭდება ს/ს კეგელში